სარჩევი

სატენდერო დოკუმენტაცია 2

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: 2

2. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი. 3

3.ანგარიშსწორების პირობები: 3

4. ტექნიკური მოთხოვნები 3

5. ხელშეკრულების პროექტი სამუშაოს შესყიდვის შესახებ # 5

6. დანართი N 1 ხარჯთაღრიცხვის ფორმა 11

7. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია: 13

9.აფიდავიტი 14

სატენდერო დოკუმენტაცია

შპს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თრიალეთის წევის ქვესადგურის გარე ელექტრომომარაგების ორჯაჭვიანი 110კვ ელექტროგადაცემის ხაზის №26-37/87 უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის საშუალებით

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1 **კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

1.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა). ცნობა საჯარო-სამართლებლივი შეზღუდვის არსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან

1.2 სატენდერო დოკუმენტაციის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ელექტრონული ტენდერის წინადადებების მიღების დაწყების თარიღს;

1.3 ამ პუნქტის 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.4 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ასევე შესაძლებელია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა სისტემის გამოყენებით სატენდერო წინადადებასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს ეკისრება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.5 ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორის ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

2. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი.

2.1 შპს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თრიალეთის წევის ქვესადგურის გარე ელექტრომომარაგების ორჯაჭვიანი 110კვ ელექტროგადაცემის ხაზის №26-37/87 უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების სასურველი ვადაა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან და ობიექტზე დაშვებიდან 2 (ორი) თვე.

2.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების გეგმა–გრაფიკი.

3.ანგარიშსწორების პირობები:

3.1 მოთხოვნის შემთხვევაში “შემსყიდველის” მიერ გადახდილი იქნება საავანსო თანხა, (,,შემსყიდველის” წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული მოცულობის ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა), ,,მიმწოდებლის” მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან) წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ სამუშაოების სრულ მოცულობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სსე–ის თრიალეთის წევის ქვესადგურის გარე ელექტრომომარაგების ორჯაჭვიანი 110კვ ელექტროგადაცემის ხაზის №26-37/87 უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური მოთხოვნები.

4.1. სსე–ის თრიალეთის წევის ქვესადგურის გარე ელექტრომომარაგების ორჯაჭვიანი 110კვ ელექტროგადაცემის ხაზის №26-37/87 უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწვრილებითი ტექნიკური პირობები, ტექნიკური სპეციფიკაცია, მოცულობები და შესაბამისი ნახაზები მოცემულია თანდართულ PDF ფაილებში:

1 განმარტებითი ბარათი (2 ფაილი);
1. ანძების ჯამური უწყისი (1ფაილი);
2. ნახაზების სია (2 ფაილი);
3. ანძები და საძირკვლები (2ფაილი);
4. სადენი და გვარლი(1 ფაილი);
5. თრიალეთის გირლიანდების სპეციფიკაცია (1 ფაილი);
6. ФГ –1 და ФГ –2 ტიპის საძირკვლის დაყენების ნახაზი(2 ფაილი);
7. გეგმა (1 ფაილი);
8. პროფილი (1 ფაილი);
9. მიწის ფართის გასხვისების უწყისი (1 ფაილი);
10. დამიწების ნახაზი (2 ფაილი).

4.2 ტექნიკური მოთხოვნები:

4.2.1 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ბოლო 3(სამი) წლის განმავლობაში ბრუნვა (აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ მიღებული საერთო შემოსავალი) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.2.2 ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 18.11.2008 წლის #100 და 07.10.2010 წლის #53 ბრძანებებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ და საქართველოს პრეზიდენტის 29.12.2009 წლის #964 ბრძანებულებით დამტკიცებული „ელექტრული ნაგებობების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“–ს მოთხოვნები.

4.2.3 ,,პრეტენდენტმა“ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადის შესახებ.

4.2.4 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად გამოსაყენებელი ძირითადი მასალების ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით.

ცხრილი №1

№	დასახელება	წარმოშობის ქვეყანა	ხარისხის ან კლასის მაჩვენებელი	საგარანტიო ვადები
1	2	3	4	5
1	ანძები			
2	რ/ბ საძირკვლები: • ცემენტი (ბეტონი)			
	• არმატურა			
3	სადენი			
6	იზოლატორი			
7	სახაზო არმატურა			
8	სადენის და გვარლის ვიბრაციის ჩამქრობები			
9	დამიწების მრგვალი Ф-12 ფოლადი			

4.2.5 ,,მიმწოდებელი“ სამუშაოს ასრულებს საკუთარი მასალებით (მასალები უნდა იყოს ესპლუატაციაში არ მყოფი ახალი) და იგი პასუხს აგებს მათ ხარისხზე. ,,მიმწოდებლის მასალებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან ხარისხის სერთიფიკატი (მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და სამშენებლო ნორმებს).

5. ხელშეკრულების პროექტი სამუშაოს შესყიდვის შესახებ #

ქ. თბილისი 2011წ. ——————

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის ----------, ერთის მხრივ შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს, (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ——————— სახით და მეორეს მხრივ შპს „———————" (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, წარმოდგენილი დირექტორის ——————— სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები (CPV კოდი: 45231400) წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის (ხარჯთაღრიცხვა), დანართი №2-ის ——————— ——————————————————————————— შესაბამისად.

2.2. დანართი №1, დანართი №2---------- წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო თანხა განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით და შეადგენს ——————— (———) ლარს ——————— (შემდგომში– „ხელშეკრულების ღირებულება").

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „მიმწოდებლის" მიერ სათანადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებლის" მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" უხდის საავანსო თანხას („შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული მოცულობის ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა), „მიმწოდებლის" მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან) წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 დღით მეტი ვადით. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.5 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

4.3. "მიმწოდებელი" სამუშაოს ასრულებს "შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრული მოცულობის შესაბამისად. სამუშაოები უნდა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების ტექნიკური პირობებისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

4.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.5 "მიმწოდებელი" სამუშაოებს ასრულებს საკუთარი მასალით (მასალები უნდა იყოს ექსპლუატაციაში არ მყოფი, ახალი) და იგი პასუხს აგებს მის ხარისხზე.

4.6 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. „მიმწოდებელი“ სუბკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ისევე აგებს პასუხს როგორც საკუთარი ძალებით შესრულებულზე. სამუშაოების მიღება-ჩაბარებისას შესრულებული სამუშაოების ვადებზე ასევე ხარისხსა და დადგენილ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისაობაზე „შემსყიდველის“ წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ „მიმწოდებელი“, მიუხედავად იმ გარემოებისა სამუშაოები აწარმოა თავისი საკუთარი ძალებით, თუ მესამე პირების - სუბკონტრაქტორების მეშვეობით.

4.7 ,,მიმწოდებელს“ არ აქვს სამუშაოს (ფარული) დაფარვის უფლება ,,შემსყიდველის“ წარმომადგენლის მიერ მის (შესრულებული სამუშაოს) დათვალიერებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული იქნება საკუთარი ძალებით უზრუნველყოს ფარული სამუშაოების ჩვენება, მიუხედავად ფარული სამუშაოების შემდეგ განხორციელებული სამუშაოებისა, ამ ხელშეკრულების 12.4. პუნქტში მითითებული პირისათვის.

4.8. ობიექტზე დაშვებულ უფლების მისაღებად და შემდგომ სამუშაოების შესრულების დროს „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 18.11.2008 წლის #100 და 07.10.2010 წლის #53 ბრძანებებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ და საქართველოს პრეზიდენტის 29.12.2009 წლის #964 ბრძანებულებით დამტკიცებული „ელექტრული ნაგებობების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“–ს მოთხოვნები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

ა) ობიექტზე დაშვებისათვის, „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაშვების თარიღამდე არანაკლებ 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით მიმართოს „შემსყიდველს“ და მიაწოდოს ინფორმაცია მოცემულ ჯერზე შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის, მოცულობის, შესრულების ვადების შესახებ, აგრეთვე, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ მივლინებულ პირთა სია: გვარების, ინიციალების, თანამდებობების, მათთვის მინიჭებული უფლებების (სამუშაოთა ხელმძღვანელი, სამუშაოთა მწარმოებელი, მეთვალყურე, ბრიგადის წევრი) და მათი ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების მითითებით (18.11.2008 წლის #100 და 07.10.2010 წლის #53 ბრძანებებით დამტკიცებული წესების 79–ე და 80–ე მუხლები);

ბ) „მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია მის მიერ მივლინებული პერსონალისათვის მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფების და უფლებების შესაბამისობაზე კვალიფიკაციასთან, აგრეთვე პერსონალის მიერ მოქმედი წესებისა და ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ მივლინებულ იმ პირებს, რომლებსაც შეიძლება მუშაობა მოუწიოთ ელექტროდანადგარებთან თან უნდა ჰქონდეთ ზემოაღნიშნული წესების მიხედვით გათვალისწინებული, დადგენილი ფორმის მოქმედი საკვალიფიკაციო მოწმობები, რომელშიც იქნება ჩანაწერი ელექტროდანადგარებში მუშაობის წესების და ნორმების ცოდნის შემოწმების გავლისა და მინიჭებული ელექტროუსაფრთხოების ჯგუფის შესახებ. არასათანადოდ გაფორმებული საკვალიფიკაციო მოწმობების, ცოდნის შემოწმების ვადაგადაცილების ან/და საკვალიფიკაციო მოწმობების არარსებობის შემთხვევაში „მიმწოდებლის“ მივლინებული პერსონალი ობიექტზე არ დაიშვება, ხოლო ამ მიზეზით სამუშაოების დაგვიანებით შესრულების ან საერთოდ შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებელს“ დაეკისრება ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

დ) ობიექტზე დაშვებისას „მიმწოდებლის“ მივლინებულმა პერსონალმა ვალდებულია თან იქონიოს აუცილებელი დამცავი საშუალებები (მათ შორის, დამცავი ჩაჩქანები), რომელთა გარეშეც აღნიშნული პერსონალი არ დაიშვება ობიექტზე.

ე) ,,მიმწოდებლლის“ მივლინებულმა პერსონალმა სამუშაოები უნდა შეასრულოს განწესით ან/და განკარგულებით.

V. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

5.1 სახელშეკრულებო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა შემსყიდველის მოვალეობაა;

5.2 „მიმწოდებელი” პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

5.3 „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

- სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

VI. სამუშაოს შესრულების წესი

6.1 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც სამშენებლო ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

6.2 "მიმწოდებლის" მასალებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან ხარისხის სერთიფიკატი (მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და სამშენებლო ნორმებს) ან 12.5 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

VII. ნორმატიული დოკუმენტები

7.1. მუშაობის პროცესში "მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ყველა მოქმედი ნორმებისა და წესების მიხედვით. აღნიშნული ნორმებისა და წესების, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების დაცვაზე ან/ და მათი შეუსრულებლობის შედეგად დამდგარ შედეგზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება „მიმწოდებელს".

VIII. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

8.1. სამუშაოს დასრულებისთანავე „მიმწოდებელი" ატყობინებს „შემსყიდველს" სამუშაოს დასრულების შესახებ.

8.2 შეტყობინების მიღების შემდეგ "შემსყიდველის" სამუშაოთა მიმღები ჯგუფი ამოწმებს "მიმწოდებლის" მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე.

8.3 ხარვეზების აღმოჩენის (წუნდების) შემთხვევაში "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი). „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან —— (———) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზი.

IX. სამუშაოს შესრულებისა და გარანტიის ვადები

9.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს სამუშაოები "შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან და ობიექტზე დაშვებიდან ——— (———) თვე („მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გრაფიკის მიხედვით), ვადამდე შესრულების უფლებით.

9.2 შესაბამისი ექსპლუატაციის პირობებში „მიმწოდებლის" მიერ შესრულებულ სამუშაოებზე და მასალა–მოწყობილობებზე საგარანტიო მომსახურების ვადა არის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ——————წელი.

9.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, „მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი „შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებიდან —— (———) კალენდარული დღის ვადაში.

X. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

10.1 "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების გარანტია (ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, საბანკო გარანტია) გამოყენებული იქნება შემდეგ შემთხვევებში თუ:

ა) "მიმწოდებლის" მხრიდან სამუშაოს შესრულების ვადა ირღვევა 30 დღეზე მეტი ხნის ვადით.

ბ) "მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევებში "შემსყიდველი" საბანკო

გარანტიის საფუძველზე უპირობოდ და შეუქცევადად იღებს მთელ გარანტირებულ თანხას (ხელშეკრულების ღირებულების 2%).

10.2 "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებებისაგან.

XI. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით სამუშაოს დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოს სრულად შესრულების დღემდე.

11.2 ,,მიმწოდებლის" მიზეზით სამუშაოს არასრულად ან საერთოდ არ შესრულების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშკერულების ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესწყვეტის დღემდე.

11.3. ამ ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებლის" მიერ გაწეული სამუშაო დაწუნებულია ან ხარვეზებით არის შესრულებული, წუნდების მიზეზების ან ხარვეზების აღმოფხვრის დღემდე. 11.1 და 11.2 პუნქტების მოქმედება ასევე ვრცელდება საგარანტიო პერიოდზე.

11.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

11.5 "შემსყიდველი" უფლებამოსილია გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს და ჯარიმის თანხები.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობის სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში "შემსყიდველს" პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

XII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

12.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

12.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სსე–ის ————————————————.

12.5 "შემსყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს თავის ან "შემსყიდველის" მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

12.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარებისას, შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის მიხედვით. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ასევე განხორციელდება სამუშაოს შესრულების ვადის დაცვის მონიტორინგით.

XIII. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების

პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა, ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

XIV. ურთიერთობა მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XV. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

15.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

15.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

15.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

15.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.3.2. “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;

15.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება;

15.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის 15.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

15.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

XVI. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

16.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

16.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

XVII. დავათა განხილვა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XVIII. ხელშეკრულების სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

18.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

18.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჟ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

XIX. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2011 წლის ———————— ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XX. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”: “მიმწოდებელი“:

6. დაართი N 1 ხარჯთაღრიცხვის ფორმა

სსე–ის თრიალეთის წევის ქვესადგურის გარე ელექტრომომარაგების ორჯაჭვიანი 110კვ ელექტროგადაცემის ხაზის №26-37/87 უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახოციელებლად

სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში დღგ–ს გარეშე.

პრეტენდენტის დასახელება———————————

(პრეტენდენტის მიერ შესავსები ხარჯთაღრიცხვის ფორმა)

№	სამშენებლო კონსტრუქციების, მასალა-მოწყობილობების შეძენა-მონტაჟის მოცულობების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	2	3	4	5	6
	ლითონის ანძები	ცალი	11		
1	საშუალედო ПС110-10Н (ანტიკოროზიული საღებავით შეღებილი)	ცალი	9		
	მოთუთიებული УС110-6 ანკერული ანძა.	ცალი	2		
	შპს „სსე-ს“ მატ. ტექნიკურ ბაზის საწყობში არსებული მოთუთიებული УС110-6-2ცალი ანძისათვის მოთუთიებული მეტიზების შეძენა	ტნ	1,56		
	ჯამი				
2	**ანაკრები რკ/ბეტონის საძირკვლების ბლოკები**				
	Ф1-А	ც/მ^3	44/44		
3	**ინერტული მასალები**				
	ღორღი საძირკვლისათვის საფენის მოსამზადებლად	მ^3	14,3		
	დამიწების კონტური				
	მრგვალი ფოლადი Ф-12	გრძ.მ/კგ	1848/1663		
	ჯამი				
4	ფოლად-ალუმინის სადენი АС150/24 (სადენის შემაერთებელი მომჭერების СОАС-150-3 საჭიროებისამებრ გათვალისწინებით) 2,392კმ ტრასაზე.	ტნ	8,86		
5	**სადენის გირლანდები**				
	დამჭერი გირლანდა (თითოეულზე ПС70-9ც იზოლატორით ან ანალოგიური).	კომპ.	54		
	დამჭიმავი გირლანდა (თითოეულზე ПС120-10ც იზოლატორით ან ანალოგიური, მათ შორის -არსებულ 37/87 ანძაზე არსებულ წრედებთან მიერთებით, საჭირო სახაზო არმატურის გამოყენებით)	კომპ.	24		
	სადენის ვიბრაციის ჩამქრობები ГПГ-1,6-11-400/20 ან ანალოგიური	ცალი	132		
	ჯამი				

	მეხდამცავი გვარლი				
	C-50	ტნ	1,01		
	მეხდამცავი გვარლის გირლანდები				
6	დამჭიმავი გირლანდა (ПС70 იზოლატორით ან ანალოგიური)	კომპ.	9		
	დამჭერი გირლანდა (ПС70 იზოლატორით ან ანალოგიური)	კომპ.	4		
	მეხდამცავი გვარლის ვიბრაციის ჩამქრობები ГПГ-0,8-9,1-300/10	ცალი	22		
	ჯამი				
7	არსებული გზების შეკეთება(ობიექტზე მასალების შესატანად) მიწით ან ინერტული მასალით.	$მ^3$	300		
8	**ჯამი**				
10	**სამუშაოების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე**				

შენიშვნა:

1. მოთუთიებული УС110-6-2 ცალი ანკერულ ანძა ინახება „სსე-ს“ მატერიალურ ტექნიკური ბაზის მისაქციელის საწყობში. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ აღნიშნული ანძების საწყობიდან ობიექტამდე ტრანსპორტირების, აწყობის და მონტაჟის ღირებულება.

2. საძირკვლების მოსაწყობად მე-7 კატეგორიის კლდოვანი ქანების დამუშავება უნდა მოხდეს აფეთქებით პროექტის მიხედვით. აფეთქებითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, რომელზეც ნებართვას მოიპოვებს „მიმწოდებელი“.

3. „მიმწოდებლის ვალდებულება წარმოადგენს:

3.1 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების პროცესში მესაკუთრეებზე მიყენებული ზიანის-მოსავლის, მრავალწლიანი ნარგავების გაჩეხვის, სანიაღვრე სარწყავი–არხებისა და შიდა მისასვლელი გზების აღდგენის საკომპენსაციო ხარჯების გაწევა.

3.2 სამშენებლო ნარჩენების (სახიფათო და არა სახიფათო, ძრავის ზეთები, და სხვა საცხებ-საპოხი) სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებითი უსაფრთხოდ განთავსება და გადაცემა გაუვნებელყოფა-გადამუშავების მიზნით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე სათანადო ორგანიზაციისათვის.

3.3 ნიადაგის მცენარეული ფენის დაცვა სამშენებლო სამუშაოების პერიოდში განახორციელოს მშენებლობის სათანადო დაგეგმვითა და დაზიანებული მცენარეული საფარის შემდეგომში აღდგენით (რეკულტივაცია)

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------
ბ.ა.

7. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია:

7.1 აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

7.2 სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღე.

7.3 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

7.3.1 შევსებული ხარჯთაღრიცხვის ფორმა **(დანართი №1);**

7.3.2 თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პირობებზე;

7.3.3 სამუშაოს შესრულების გეგმა–გრაფიკი;

7.3.4 შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადის შესახებ.

7.3.5 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ბოლო 3(სამი) წლის განმავლობაში ბრუნვა (აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ მიღებული საერთო შემოსავალი) არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

7.3.6 ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად გამოსაყენებელი ძირითადი მასალების ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის მე–4 პუნქტის (ტექნიკური მოთხოვნები) 4.2.4 ქვეპუნქტში მოყვანილი ცხრილის №1 მიხედვით;

7.3.7 პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

7.4 ხელშეკრულებაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 2%–ის ოდენობის, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებამდე, მისი მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.5 მიმწოდებლის წერილობითი თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით შემსყიდველი ორგანიზაცია განმარტავს ან/და აზუსტებს ტენდერთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და განთავსდება სისტემაში. აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება სატენდერო კომისიას აქვს წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე ელექტრონული ტენდერის შესყიდვის შემთხვევში. სატენდერო დოკუმენტაციის დამატება არ უნდა ცვლიდეს სატენდერო დოკუმენტაციის თუ განცხადების შინაარსს.

7.6 ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7.7 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

7.8 ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ დაიშვება.

8. საკონტაქტო ინფორმაცია

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ინფორმაციისათვის და განმარტებებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს: მანანა ამაღლობელი ტელ: 877755430, ელ. ფოსტა: manana.amaglobeli@gse.com.ge

გივი სულავა ტელ: 877715194 , ელ. ფოსტა: givi.sulava@gse.com.ge

9.აფიდავიტი

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმონერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^1 მუხლის შესაბამისად.